

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ გოდოგნის
მაჟორიტარი დეპუტატის გრიგოლ გიორგაძის
ექვსი თვის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ

ანგარიში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის გოდოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში ამ ექვსი თვის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

სოფლის ტერიტორიაზე ქათამაძეების უბანში 150 მ. სიგრძეზე ამოიჭრა არხი და გაუკეთდა ნიაღვრის სადინარები; ასევე გაიჭრა 100მ. სანიაღვრე არხი; ქასრაშვილების სახლთან, კერძოდ ტრანსფორმატორთან ასევე გაიჭრა 50 მ. არხი; ნაგარევეში გასწორდა 150 მ. მონაკვეთზე გზა; გვენეტაძეების სახლთან ორ მონაკვეთზე გაიწმინდა ბოგირი, აქვე ახლოს ამოიჭრა სანიაღვრე და გასწორდა 150 მ. მონაკვეთის რთული გზა; სოფლის შემოსასვლელში გაიწმინდა ბოგირი და ამოსუფთავდა 200 მ. სანიაღვრე არხი; ბოგირები გაიწმინდა დაჩების ამოსასვლელში (50 მ), სირბილაძეების სახლთან (50 მ), გაბელაშვილის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც 200 მ. სანიაღვრე არხიც ამოსუფთავდა; ნაგარევის მიმართულებით გაიწმინდა ბოგირი და 50 მ. მონაკვეთზე სანიაღვრე არხი.

ასევე მოტანილი იქნა და დამონტაჟებული 500 მ დენის მავთული წყალწითელას უბანში გარე განათების ბოძებზე.

კვირაში ერთი დღე, პარასკევი, გამოყოფილი მაქვს მოსახლეობასთან შეხვედრებისათვის, რაზედაც მოსახლეობა ინფორმირებულია, მოსახლეობასთან ერთად განვიხილავთ სოფლის პრობლემებს და ვზრუნავთ მათი გადაჭრის გზებზე.

ამ პერიოდში გოდოგნის თემში განხორციელდა შემდეგი ტიპის სოციალური დახმარებები: ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 18 ბენეფიციარს, სურსათით დავეხმარეთ - 3, თანადაფინანსების პროგრამით ისარგებლა 10 ბენეფიციარმა, ასევე პარკისონით დაავადებულთა დახმარების პროგრამით სარგებლობს 2 ბენეფიციარი, ჩერნობილის 2 ვეტერანს ასევე გაეწია ფინანსური დახმარება.

გოდოგნის თემის მაჟორიტარი დეპუტატი

გრიგოლ გიორგაძე 